

მსოფლიო ბანკი საქართველოში უფრო ეფექტური და სანდო მუნიციპალური მომსახურების და ინფრასტრუქტურის განვითარებას უწყობს ხელს

ვაშინგტონი, 2014 წლის 3 ივლისი - დღეს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიერ საქართველოსთვის 30 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა. აღნიშნული კრედიტი რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის განხორციელებისთვის იქნა გამოყოფილი.

პროექტის მიზანია კონკრეტული მუნიციპალური მომსახურების და ინფრასტრუქტურის ეფექტურობის და სანდოობის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზანი პრიორიტეტული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განახლებაში ინვესტირებით და, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მომსახურების უნარების და სისტემების გაუმჯობესების ხელშეწყობით იქნება მიღწეული.

„საქართველოს მთავრობამ მის მიერ შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020 რევიზიებს შორის განვითარების მხრივ არსებულ სხვაობასთან, სიღარიბესთან და უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მთავარ პრიორიტეტებად დაასახელა“; განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალიმ. „ამ მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დაფინანსება, დეცენტრალიზაცია, ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის დაფუძნება და ქალაქებისა და სოფლების სანდო მუნიციპალური ინფრასტრუქტურითა და მომსახურებით უზრუნველყოფა“.

პროექტი ორი კომპონენტისგან შედგება: ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებაში და ინსტიტუციური განვითარება. პირველი კომპონენტის ფარგლებში ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში განხორციელდება იმისათვის, რომ პრიორიტეტული მუნიციპალური მომსახურების რეაბილიტაცია და გაფართოება მოხდეს. ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად, განხორციელდეს ქალაქებსა და სოფლებში კერძო ინვესტიციების მოზიდვა. გარდა ამისა, ამ პროექტის მეშვეობით ქვეპროექტების ფარგლებში განსახორციელებელი ინვესტიციების ტექნიკური მომზადება, მათი მონიტორინგი, შეფასება და პროექტის მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობა განხორციელდება. მეორე კომპონენტი, რომელიც შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ გამოყოფილი 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გრანტით ფინანსდება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მუნიციპალური განვითარების ფონდს მათი ინსტიტუციური შესაძლებლობების და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

„ამ პროექტის მთავარი ბენეფიციარები ქალაქების და სოფლების მაცხოვრებლები არიან, რომლებიც ამჟამად დაბალი ხარისხის მომსახურებას იღებენ. პროექტის მეშვეობით რეგიონებს შორის განვითარების მხრივ არსებული სხვაობის აღმოფხვრის ხელშეწყობა მოხდება“, განაცხადა მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა სამხრეთ კავკასიაში, აჰმედ ეივიდამ. „პროექტის განხორციელების შედეგად მოსახლეობა უფრო მაღალი ხარისხის, სანდო მუნიციპალურ მომსახურებას და ინფრასტრუქტურას მიიღებენ, რასაც დადებითი ზეგავლენა ექნება მათი ცხოვრების პირობებზე. გარდა ამისა, ეს მათი ყოველდღიური ხარჯების შემცირებას განაპირობებს, რაც განსაკუთრებით ქალებს ეხება, რომლებიც ძირითადად საოჯახო საქმით არიან დაკავებული“.

პროექტის განხორციელების შედეგებით მცირე ზომის საწარმოებიც ისარგებლებენ. ასევე, მოსალოდნელია, რომ ახალი საწარმოები შერჩეული მუნიციპალიტეტებით დაინტერესდებიან. ამის შედეგად, პროექტი შემოსავლების და ახალი სამუშაო ადგილების მატებას შეუწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, საერთო კეთილდღეობის ზრდას განაპირობებს. იმ დროს, როცა საქართველო დეცენტრალიზაციის მეორე ეტაპის განხორციელებას იწყებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება, სახელმწიფო მომსახურების გაწევის და სახელმწიფო აქტივების მოვლის კუთხით, მთავრობისთვის სასარგებლო იქნება.

1992 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი ოდენობა დაახლოებით 3.26 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, ეწვიოთ:

www.worldbank.org.ge

გვეწვიეთ Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

საკონტაქტო პირები

ვამინგტონში:

ელენა კარაბანი

ტელ.: +1 (202) 473-9277

ekaraban@worldbank.org

თბილისში:

ინგა პაიჭაძე

ტელ.: (99532) 291-3096

ipaichadze@worldbank.org